ფიზიკურ პირთა ქონებისა და მასთან დაკავშირებული ინტერესების დაზღვევის პირობები #R/HVP – 001/17-1

ფიზიკურ პირთა ქონებისა და მასთან დაკავშირებული ინტერესების დაზღვევის წინამდებარე პირობებში მოცემული მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაგეხმარებათ უკეთ გაეცნოთ ამ ტიპის დაზღვევას. თქვენ გეძლევათ საშუალება, აირჩიოთ თქვენთვის სასურველი რისკი, რომლის მიმართაც გესაჭიროებათ დაზღვევა. გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ ამ დოკუმენტში წარმოდგენილ ინფორმაციას, რათა გადაწყვიტოთ, თუ რამდენად შეესაბამება აქ მოცემული დაფარვა თქვენს კონკრეტულ შემთხვევას/მდგომარეობას.

შინაარსი

გამოყენებული ტერმინები 2

ნაწილი I - ძირითადი დაფარვა 5
1. დაზღვევის საგნები 5
2. ძირითადი დაფარვის სახეობები 6
3. ძირითადი დაფარვის გამონაკლისები 8
4. სადაზღვევო ღირებულების განსაზღვრა 9
5. სადაზღვევო ანაზღაურების გამოთვლა 9
6. დაზღვევა მესამე პირთა სასარგებლოდ 11

ნაწილი II - დამატებითი დაფარვა 11
1. დაზღვეული ქონების ექსპლუატაციის შედეგად მესამე პირთა წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის დაზღვევა 11
2. საიჯარო შემოსავლის დაკარგვა 12
3. მოიჯარის მიერ მიყენებული ზიანისაგან დაზღვევა 12

ნაწილი III - ზოგადი პირობები 13
1. ზოგადი გამონაკლისები 13
2. სადაზღვევო თანხა 14
3. სადაზღვევო პრემია და მისი გადახდის პირობები 14
4. დაზღვევის მოქმედების ტერიტორია 15
5. რისკის ხარისხის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მოწოდების ვალდებულება 15
6. რა შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს სადაზღვევო პირობები 15
7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა 16
8. პოლისის მოქმედების შეწყვეტა 16
9. როგორ ხდება სადაზღვევო აქტის შედგენა 17
10. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას თქვენი ვალდებულებები 17
11. როგორ ხდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა 19
12. სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის თქმა 20
13. დამოუკიდებელი ექსპერტიზა 20
14. დავების განხილვა 20
15. კონფიდენციალურობა 21
16. ინფორმაციის მიწოდება 21

ფიზიკურ პირთა ქონებისა და მასთან დაკავშირებული ინტერესების დაზღვევის პირობები #R/HVP-001/17-1

წინამდებარე პირობები ძალაშია ჩვენ მიერ გაცემულ სადაზღვევო პოლისთან ერთად. სადაზღვევო პოლისის გარეშე წინამდებარე პირობებს იურიდიული ძალა არ გააჩნია. პოლისზე ხელმოწერით თქვენ ადასტურებთ, რომ გაეცანით წინამდებარე პირობებს და ეთანხმებით მათ.

გამოყენებული ტერმინები:

დამზღვევი – წარმოადგენს პირს, რომელიც აზღვევს ქონებას და რომელთანაც უშუალოდ ფორმდება ქონების დაზღვევის ხელშეკრულება და რომლის ვალდებულებასაც წარმოადგენს სადაზღვევო პრემიის გადახდა;

მოსარგებლე – თქვენ მიერ დასახელებული ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც **სადაზღვევო ხელშეკრულების** საფუძველზე უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;

ოჯახის წევრი – მეუღლე, შვილ(ებ)ი, ნათესავი ან სხვა რომელიმე პირი (მდგმურის გარდა), ვინც დაზღვევით დაფარული სახლის/ბინის მუდმივი მცხოვრებია. ოჯახის წევრად არ მოიაზრება პირი, რომელიც ფინანსური ანაზღაურების ან სხვა ინტერესის სანაცვლოდ ცხოვრობს დაზღვევით დაფარულ სახლში;

დაზღვევის ხელშეკრულება – დოკუმენტი, რომელიც აწესრიგებს ქონების დაზღვევის გაფორმების შედეგად ჩვენსა და თქვენ შორის წარმოშობილ უფლება-მოვალეობებს და რომელიც შედგება სადაზღვევო განაცხადის, სადაზღვევო პოლისისა და წინამდებარე პირობებისგან;

განაცხადი – ჩვენ მიერ დადგენილი ფორმით თქვენ მიერ შევსებული კითხვარი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ჩვენთვის საინტერესო და რისკის შეფასებისთვის საჭირო გარემოებების შესახებ. განაცხადი ივსება სადაზღვევო პოლისის გაცემამდე და წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულების დადების აუცილებელ წინაპირობას;

სადაზღვევო პოლისი (პოლისი/სერტიფიკატი/თავისი დანართებით) – ჩვენ მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დაზღვევის ხელშეკრულების დადებას წინამდებარე პირობების შესაბამისად და ასახავს დაზღვევის ხელშეკრულების ძირითად პირობებს. ამასთან, თუ პოლისში დაფიქსირებული მონაცემები და წინამდებარე პირობებით განსაზღვრული დებულებები წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან, უპირატესობა ენიჭება პოლისს;

სადაზღვევო პერიოდი – **სადაზღვევო პოლისში** მითითებული დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც მოქმედებს დაზღვევა და რომლის განმავლობაშიც დამდგარი **სადაზღვევო შემთხვევები** ექვემდებარება ანაზღაურებას. ამასთან, დაზღვევა ძალაში შედის პოლისით განსაზღვრული პირველი დღის 24 საათიდან და ძალაშია პოლისით განსაზღვრული უკანასკნელი დღის 24 საათამდე, თუ თავად სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

სადაზღვევო თანხა / პასუხისმგებლობის ლიმიტი **–** მხარეთა მიერ სადაზღვევო პოლისში განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც წარმოადგენს **ჩვენ** მიერ ჯამურად გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალურ ლიმიტს;

სადაზღვევო პრემია (პრემია) – თანხა, რომელიც თქვენ უნდა გადაგვიხადოთ ქონების დაზღვევის შესაძენად ერთჯერადად ან განსაზღვრული პერიოდულობით; სადაზღვევო პრემიის ოდენობა დგინდება რისკის ხარისხის, **ჩვენ** მიერ განხორციელებული რეგრესული უფლების სტატისტიკური მაჩვენებლებისა და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებების გათვალისწინებით;

სადაზღვევო ღირებულება – ქონების რეალური ღირებულება, რომელიც გამოითვლება წინამდებარე პირობების მიხედვით და რომელიც გამოიყენება სადაზღვევო ანაზღაურების სიდიდის დასადგენად;

სადაზღვევო ანაზღაურება - თანხა, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გაიცემა ჩვენ მიერ თქვენი, მოსარგებლის, დაზარალებულის ან მისი მემკვიდრის სახელზე;
ერთჯერადი ლიმიტი – გულისხმობს კონკრეტული სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებულ თანხობრივ ლიმიტს, რომლის გამოყენებისთანავე (მიუხედავად იმისა ასეთი ლიმიტი სრულად გაიხარჯა თუ არა) იგი სრულად ამოწურულად ითვლება;
ფრანშიზა – თანხა, რომელიც არ ექვემდებარება მზღვეველის მხრიდან ანაზღაურებას და რომელიც აკლდება ზარალის თანხის ოდენობას;
რეგრესული უფლება – თქვენ მიერ ჩვენთვის თქვენი მესამე პირის მიმართ არსებული მოთხოვნის უფლების გადმოცემა და ამისათვის საჭირო ყველა დოკუმენტის გაფორმებაში და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაში დახმარების გაწევა;
დაზღვეული ქონება – ქონება, რომელიც მითითებულია **პოლისში**, გაშიფრულია განაცხადში და მდებარეობს პოლისის გრაფაში **–** "დაზღვეული ობიექტის მისამართი" **–** მითითებულ მისამართზე, თუ სხვა დაზღვევის მოქმედების არეალი არ არის ცალსახად განსაზღვრული შეძენილი დაფარვის მიხედვით (**მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობა**);
შენობა/ნაგებობები – საცხოვრებელი, სააგარაკო შენობები, სამეურნეო და გარე ნაგებობები, საცხოვრებელი ფართი მრავალბინიან შენობებში, განუყოფელი კონსტრუქციული ელემენტების, შიდა და გარე მოპირკეთებისა და საინჟინრო მოწყობილობის ჩათვლით;
განუყოფელი კონსტრუქციული ელემენტები – ყველა ის ელემენტი, რომლებიც **შენობა/ ნაგებობების** განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, ლოჯებისა და აივნების ჩათვლით.
შიდა და გარე მოპირკეთება – ყველა სახის სალესი და სამღებრო, ასევე, ძერწვითი სამუშაოები; ასევე კედლების მოპირკეთება ნებისმიერი სახის ხის მასალით, პლასტიკატით ან მსგავსი მასალით, შპალერი, იატაკისა და ჭერის საფარი, ფანჯრები, ვიტრაჟები და კარები, შიდა ტიხრები, შიდა დეკორატიული ელემენტები და შიდა კიბეები (გარდა მონოლითურად დამონტაჟებული კიბეებისა);
ავეჯი – ნებისმიერი ავეჯი, ჩაშენებული ავეჯის ჩათვლით.
საყოფაცხოვრებო საინჟინრო მოწყობილობა – სანიტარულ-ტექნიკური და გასათბობი მოწყობილობები, წყლის ბოილერები, წყალგაყვანილობა, გაზგაყვანილობა, ელექტროგაყვანილობა, შიდა და გარე მიწისქვეშა კანალიზაციის სისტემა, ელექტრონული მრიცხველები, სატელევიზიო და სატელეფონო კაბელები;
საყოფაცხოვრებო ტექნიკა – იგულისხმება საყოფაცხოვრებო მოხმარების ტექნიკა, როგორებიცაა: მაცივარი, გაზის და ელექტროქურა, მტვერსასრუტი, უთო, ტელევიზორი, რადიომიმღები, მაგნიტოფონი, მუსიკალური ცენტრი, ფენი, მიკროტალღური ღუმელი, სარეცხი და ჭურჭლის სარეცხი მანქანა, კონდიციონერი, სტაციონარული კომპიუტერი, ელექტროჩაიდანი, გამწოვი, ტოსტერი, სამზარეულოს კომბაინი, ელექტროხორცსაკეპი, გრილი, წვენსაწური, ყავის ელექტროსაფქვავი და ელექტროსახარში, ბლენდერი, მიქსერი, იატაკის გასაპრიალებელი და საშინაო პირობებში სტაციონარულად გამოსაყენებელი სხვა საყოფაცხოვრებო აპარატურა;
მობილური ელექტროტექნიკა – ნოუთბუქი, პალმტოპი, ფოტოკამერა, ვიდეოკამერა, მობილური ტელეფონი, მინი მაგნიტოფონი, აიფოდი და სხვა ელექტროტექნიკა, განკუთვნილი გამოყენებისათვის მგზავრობის დროს;
სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები - საოჯახო ნივთები, პირადი მოხმარების საგნები, რომლებიც გამოიყენება საოჯახო მეურნეობაში (ჭურჭელი, ტანსაცმელი, ხალიჩები, ფარდები, ფარდა-ჟალუზები და ა.შ.);
სადაზღვევო შემთხვევა – სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში სადაზღვევო რისკის განხორციელებისას დამდგარი მოულოდნელი მოვლენა, რომლის შედეგად მოხდა დაზღვეული ქონების დაკარგვა, დაზიანება ან განადგურება და რომლის გამოც წარმოიშობა მზღვეველის ვალდებულება აანაზღაუროს ზარალი, პოლისით განსაზღვრული დაზღვევის პროგრამისა (ანუ იმ პროგრამისა, რომლის დასახელებაც შემოხაზულია პოლისში) და წინამდებარე პირობების მიხედვით;
სადაზღვევო რისკი – რისკი, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის ნიშნებს

და რომლის გამოც ხდება დაზღვევა;
მომატებული რისკი – თქვენ მიერ დაზღვეულ ქონებასთან/საგნებთან მიმართებით ჩვეულებრივი სიფრთხილის ზომების მიუღებლობა/გაუთვალისწინებლობა;
ცვეთა – დროთა განმავლობაში დაზღვეული ქონების ბუნებრივი გაუფასურება;
ხანძარი – წინამდებარე დაზღვევის მიზნებისთვის ხანძარში იგულისხმება დამოუკიდებლად გავრცელების უნარის მქონე ცეცხლი, რომელიც თავისით ვრცელდება ცეცხლის დანთებისთვის განკუთვნილი ადგილის ფარგლებს გარეთ და უშუალოდ აზიანებს/ანადგურებს **დაზღვეულ ქონებას**;
აფეთქება – სისტემაში გაზის წნევის მოულოდნელი მომატების შედეგად აფეთქება ან აფეთქება, გამოწვეული საყოფაცხოვრებო საინჟინრო მოწყობილობების სისტემიდან აირის გაჟონვით;
მეხის დაცემა – ბუნებრივი გიგანტური ელექტრონული განმუხტვა ატმოსფეროში, რომელსაც თან სდევს ქუხილი;
შტორმი, ქარიშხალი, გრიგალი – ჰაერის მასების მოძრაობა 25 მ/წ სიჩქარით, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი ატმოსფერული მოვლენებით;
წყალდიდობა – უჩვეულოდ დიდი მოქცევის, ტაიფუნის, ციკლონის, შტორმის, ქარიშხლის, კოკისპირული წვიმის, თოვლის დნობის ან ქარბუქის გამო მდინარის, ტბის, ზღვის, წყალსაცავის ნაპირებიდან გადმოსვლა და ამის შედეგად მიწის იმ ნაწილის დატბორვა, რომელიც ჩვეულებრივ წყლით არ არის დაფარული;
დატბორვა – დაზღვეულ ობიექტზე წყლის შესვლა ხელოვნური ავზების, მილების (ქალაქის ან სხვა საზოგადოებრივი წყალსაკანალიზაციო მილების ჩათვლით) და სხვა მოწყობილობების მწყობრიდან გამოსვლის, გასკდომის ან გაჟონვის შედეგად, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია წყალ-საკანალიზაციო სისტემის უეცრად და მოულოდნელად (ავარიულად) მწყობრიდან გამოსვლით ან მესამე პირთა უყურადღებო დაუდევარი ქცევით;
გრუნტის ჩამოშლა – სწრაფი დაღმართი მოძრაობა კლდეების ან ბორცვის მასის სიმძიმის გავლენით;
მეწყერი – გრუნტის, კლდეების ან სხვა შემცველობის დიდი მასა, რომელიც სწრაფად ეშვება მთის ფერდობიდან;
ზვავის ჩამოწოლა – მთის ფერდობიდან თოვლის მასის უეცარი სწრაფი მოძრაობა.
სეტყვა: ატმოსფერული ნალექი, რომელიც შედგება ყინულის სხვადასხვა ზომის სფერული ნაწილაკებისგან ან ნატეხებისგან;
მიწისძვრა – იგულისხმება რეგისტრირებული მიწისძვრის ბიძგები, რომელიც უშუალოდ აყენებს ზიანს დაზღვეულ ქონებას და/ან ხანძარი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიწვია მიწისძვრის ბიძგებმა;
ქურდობაშეღწევით – იგულისხმება დაზღვეული ქონების ფარული დაუფლება ან ამის მცდელობა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი შენობაში მართლსაწინააღმდეგო შეღწევის გზით, გარდა იმ პირის მიერ ჩადენილი ქურდობისა, რომელიც დაზღვეულ ტერიტორიაზე **თქვენი** ან **თქვენი ოჯახის ნებისმიერი წევრის** ან **თქვენთან** მცხოვრები პირის ნებართვით/ხელშეწყობით იმყოფებოდა ან **თქვენი ან თქვენი ოჯახის წევრის** ნებართვის შესაბამისად დროებით ფლობდა **თქვენს** ქონებას;
ძარცვა, ყაჩაღობა – დანაშაულებრივი ქმედებები, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, გარდა იმ პირის მიერ ჩადენილი ძარცვის ან ყაჩაღობისა, რომელიც დაზღვეულ ტერიტორიაზე **თქვენი** ან **თქვენი ოჯახის ნებისმიერი წევრის** ან **თქვენთან** მცხოვრები პირის ნებართვით/ხელშეწყობით იმყოფებოდა ან **თქვენი ან თქვენი ოჯახის წევრის** ნებართვის შესაბამისად დროებით ფლობდა **თქვენს** ქონებას;
ვანდალიზმი – ამ დაზღვევის მიზნებისათვის ვანდალიზმად მოიაზრება დაზღვეული ქონების განზრახ დაზიანება ან განადგურება იმ პირის მიერ, რომელიც დაზღვეულ ობიექტზე მოხვდა **თქვენი** ან **თქვენი ოჯახის წევრის** ნებართვის/თანხმობის გარეშე;
გამომუშავებული სადაზღვევო პრემია – სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;
გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია – სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში

კონკრეტული თარიღისათვის სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;
ჩვენ, ჩვენი – მზღვეველი, "სადაზღვევო კომპანია ალდაგი";
თქვენ, თქვენი – დამზღვევი;
მხარე/ მხარეები – დამზღვევი და მზღვეველი.

ამ ნაწილში მოცემული ცალკეული ტერმინების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და წინამდებარე პირობებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვა ტერმინების ცალკე განმარტებასაც, რა შემთხვევაშიც უპირატესობა უფრო კონკრეტულად და სრულად მოცემულ განმარტებას ენიჭება;

წინამდებარე პირობებში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ ჩვეულებრივი მნიშვნელობა. ამასთან, თუ პირობებში გამოყენებული ტერმინების გაგება არაერთგვაროვანია, სხვადასხვა ინტერპრეტაციას შორის უპირატესობა ენიჭება საკანონმდებლო წესით განსაზღვრულ მნიშვნელობას, თუკი საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ასეთს ითვალისწინებს.

ნაწილი I
ძირითადი დაფარვა

1.1. დაზღვევის საგნები

პოლისში ასახული და განაცხადში გაშიფრული თქვენს საკუთრებაში/ მართლზომიერ მფლობელობაში მყოფი კონსტრუქციული ელემენტები და შიდა მოპირკეთება, საყოფაცხოვრებო საინჟინრო მოწყობილობა, ავეჯი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, მობილური ელექტროტექნიკა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები, **გარდა**:

- შენობა/ნაგებობების გარეთა მხარეს დამონტაჟებული საგნებისა (ანძები, ანტენები, მავთულები)*; გადამცემი და გამანაწილებელი ხაზებისა;
- ცხოველების, ფრინველების და მწერებისა; მცენარეების, ნარგავების და მარცვლოვანი კულტურებისა;
- კვების პროდუქტებისა;
- ფეთქებადი ნივთების და ნივთიერებებისა; იარაღის, საბრძოლო მასალების, სარეწი იარაღების და მოწყობილობებისა;
- მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად სავალდებულო რეგისტრაციას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალებებისა;
- ინფორმაციის მატარებლებისა, კომპიუტერსა და სხვა სახის ანალოგიურ სისტემებში არსებული ტექნიკური საინფორმაციო საშუალებებისა (მაგნიტური ბლოკი, მაგნიტური ლენტა, საინფორმაციო ბლოკი და ა.შ.);
- ხელნაწერების, ფოტოსურათების, ნეგატივების, სქემების, ნახაზების და/ან ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტაციისა, ბუღალტრული და საქმიანი წიგნების და/ან ჩანაწერების, მოდელების, მაკეტების, ნიმუშების და ფორმებისა;
- ოქროს, ვერცხლის ან სხვა ძვირფასი ლითონის განდამზადებული ნაკეთობებისა; ძვირფასი, ნახევრად ძვირფასი და სანაკეთო ქვებისა; ძვირფასი ქვების დამუშავებისა და მოჭედვის გარეშე; ძვირფასი და იშვიათი ლითონების მავთულის, ზოდის, ქვიშის ან თვითნაბადი სახით; ბეწვეულის, სურათების, სკულპტურებისა და ხელოვნების სხვა ნიმუშებისა, მარკების, მონეტების, ფულადი ნიშნების, ბონებისა და სხვა სახის კოლექციებისა, ანტიკვარიატისა**;** ნაღდი ფულისა უცხოურ თუ ეროვნულ ვალუტაში, ჩეკების, ბონდების, შემნახველი ვაუჩერების და ობლიგაციებისა, საფოსტო მარკების, საფოსტო-შემნახველი მარკების, საფოსტო და ფულადი გზავნილების, სამოგზაურო ბილეთების, კვების ვაუჩერების, სიმ ბარათების, მობილური ტელეფონის ბარათების, სასაჩუქრე ვაუჩერების, აქციების, სხვა ფასიანი ქაღალდებისა და საბანკო ბარათებისა***;**

• საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ავეჯის, მობილური ელექტროტექნიკის და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებისა 300 აშშ დოლარის ღირებულების ზემოთ, თუ ისინი არ იყო გაშიფრული განაცხადში (გარდა „ახალი ბინის“ ფარგლებში დაზღვეული ავეჯის და საყოფაცხოვრებო ტექნიკისა).

(*საჭიროებს ჩვენ შორს დამატებით წერილობით შეთანხმებას).

1.2. ძირითადი დაფარვის სახეობები

თქვენ დაზღვეული ხართ პოლისით განსაზღვრული ძირითადი პროგრამის მიხედვით, რომლის დასახელებაც შემოხაზულია/მითითებულია სადაზღვევო პოლისში.

ჩვენ გთავაზობთ ქონების დაზღვევის პროგრამის შემდეგ სახეობებს:

1.2.1. <u>ახალი ბინა</u>

- ხანძარი
- მეხის დაცემა
- აფეთქება
- მიწისძვრა
- შტორმი
- ქარიშხალი
- გრიგალი
- სეტყვა
- წყალდიდობა
- გრუნტის ჩამოშლა
- მეწყერი
- ზვავის ჩამოწოლა
- უხვთოვლიანობა
- ქურდობა შეღწევით
- ძარცვა, ყაჩაღობა
- ვანდალიზმი
- თვითმფრინავის ან მისი ნაწილების ან სხვა საჰაერო მოწყობილობის ან მისი ნაწილების ჩამოვარდნა
- დატბორვა, გამოწვეული წყალ-საკანალიზაციო სისტემის მწყობრიდან უეცარი და მოულოდნელი გამოსვლით.

1.2.2.<u>ჩემი ბინა</u>

- ხანძარი
- მეხის დაცემა
- აფეთქება
- მიწისძვრა
- შტორმი
- ქარიშხალი
- გრიგალი
- სეტყვა
- წყალდიდობა
- გრუნტის ჩამოშლა
- მეწყერი
- ზვავის ჩამოწოლა

- უხვთოვლიანობა
- ქურდობა შეღწევით
- ძარცვა, ყაჩაღობა
- ვანდალიზმი
- თვითმფრინავის ან მისი ნაწილების ან სხვა საჰაერო მოწყობილობის ან მისი ნაწილების ჩამოვარდნა
- დატბორვა, გამოწვეული წყალ-საკანალიზაციო სისტემის მწყობრიდან უეცარი და მოულოდნელი გამოსვლით.

1.2.3.<u>ძველი ქალაქი</u>

- ხანძარი
- მეხის დაცემა
- აფეთქება
- ქურდობა შეღწევით
- ძარცვა, ყაჩაღობა
- ვანდალიზმი
- თვითმფრინავის ან მისი ნაწილების ან სხვა საჰაერო მოწყობილობის ან მისი ნაწილების ჩამოვარდნა.

1.2.4.<u>ჩემი ეზო</u>

- ხანძარი
- მეხის დაცემა
- აფეთქება
- მიწისძვრა
- შტორმი
- ქარიშხალი
- გრიგალი
- სეტყვა
- წყალდიდობა
- გრუნტის ჩამოშლა
- მეწყერი
- ზვავის ჩამოწოლა
- უხვთოვლიანობა
- ქურდობა შეღწევით
- ძარცვა, ყაჩაღობა
- ვანდალიზმი
- თვითმფრინავის ან მისი ნაწილების ან სხვა საჰაერო მოწყობილობის ან მისი ნაწ-ილების ჩამოვარდნა
- დატბორვა, გამოწვეული წყალ-საკანალიზაციო სისტემის მწყობრიდან უეცარი და მოუ-ლოდნელი გამოსვლით
- წყალგაყვანილობის მილებისა და გათბობის სისტემის გასკდომა მოულოდნელი და უჩვეულო ყინვის შედეგად.

1.3. ძირითადი დაფარვის გამონაკლისები

დაზღვევა არ ვრცელდება და, შესაბამისად, ჩვენ ვთავისუფლდებით სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებისაგან შემდეგ შემთხვევებში:

1.3.1. ზიანი ან განადგურება, რომელიც გამოწვეულია ბგერითი ან ზებგერითი სიჩქარით მოძრავი თვითმფრინავის ან სხვა საფრენი აპარატის მიერ წარმოქმნილი წნევის ტალღებით.

1.3.2. ელექტრონული ან ელექტრო ხელსაწყოს დანაკარგი ან ზიანი, რომელიც გამოწვეულია მეხის დაცემის დროს აღნიშნული ხელსაწყოს ანტენასთან შეერთებულ მდგომარეობაში დატოვებით.

1.3.3. ცეცხლით გამოწვეული ზარალი, რომელიც არ არის გამოწვეული ხანძრით.

1.3.4. თვით ქონების მოულოდნელი ფერმენტაციით ან გაცხელებით, ან დაზღვეული ქონების მიერ რაიმე სითბური პროცესის გავლით გამოწვეული ზიანი ან ზარალი.

1.3.5. ზიანი, რომელიც მიადგა **ღია ცის ქვეშ დატოვებულ** ან ზიანის დადგომის მომენტისათვის უკვე დაზიანებულ და/ან დაშლილ შენობაში მყოფ **ავეჯს**, **საყოფაცხოვრებო ტექნიკას და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებს**, კარებისა და ფანჯრების, ასევე, სახურავის ფანჯრების ღიად დატოვების გამო დამდგარი ზიანის ჩათვლით.

1.3.6. ნებისმიერი ზიანი, რომელიც მიადგა გარეთ მდებარე **თქვენს** საინჟინრო მოწყობილობას, გარე მოპირკეთებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული გამოწვეულია დაზღვეული ბინის/შენობის კონსტრუქციული ელემენტების ნგრევით.

1.3.7. ზიანი, რომელიც გამოწვეულია სადრენაჟო სისტემების არასწორი გამოყენებით.

1.3.8. ქურდობის ისეთი შემთხვევები (მიუხედავად იმისა, აღძრულია თუ არა სისხლის სამართლის საქმე ქურდობის მუხლით), თუ შესაბამისი და სათანადო მტკიცებულებებით არ დასტურდება დაზღვეულ ობიექტზე ბოროტმოქმედ(ებ)ის შეღწევის ან გამოღწევის ფაქტი.

1.3.9. ნებისმიერი ზარალი, გამოწვეული დაზიანებული ქონების მეთვალყურეობის გარეშე დატოვებით.

1.3.10. ზიანი,რომელიც გამოწვეულია მიწის სამუშაოების ჩატარების შედეგად გრუნტის ხელოვნური დაწევით ან მოძრაობით, მდინარის ნაპირისა და მიმდებარე ტერიტორიის ეროზიით.

1.3.11. ზიანი, რომელიც გამოწვეულია რაიმე ქონების დანგრევით, სტრუქტურის ცვლილებებით ან შეკეთებით, ასევე, საძირკველის სამშენებლო სამუშაოებით ან გათხრებით.

1.3.12. ზიანი, რომელიც მიადგა ეზოებს, ავტოსადგომებს, გზებს, ტროტუარებს, ჭიშკრებსა და ღობეებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნულმა ზიანი მიაყენა დაზღვეულ შენობებს.

1.3.13. დანაკარგი ან ზიანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა წყლის მილების, არხების, ავზების ან მოწყობილობების შეკეთების, გაუქმების, დაგრძელების ან გადატანის პროცესში.

1.3.14. ქურდობისა (შეღწევით) და ვანდალიზმის შედეგად დამდგარი ზარალი, თუ დაზღვეულ ბინაში/სახლში 1 თვეზე მეტი დროის განმავლობაში არავინ იმყოფებოდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პოლისში მითითებულია, რომ დაზღვევა ვრცელდება წელიწადში 1 თვეზე მეტ ხანს დაუსახლებელ ბინებზე/ სახლებზე.

1.4. სადაზღვევო ღირებულების განსაზღვრა

1.4.1. ქონება დაზღვეული უნდა იყოს განაცხადის შევსების მომენტისათვის მისი რეალური ღირებულების შესაბამისად, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად:

- კონსტრუქციული ელემენტებისათვის, რომლებიც იფარება პროგრამით „ჩემი ეზო“/ სახლის დაზღვევის შემთხვევაში პროგრამა „ძველი ქალაქის“ მიხედვით – სახლის აღდგენის ღირებულების წლიური 2% ცვეთის კოეფიციენტის გათვალისწინებით, რომელიც გამოიყენება ბოლო კაპიტალური რემონტის დასრულების თარიღიდან;
- კონსტრუქციული ელემენტები „ჩემი ბინა“/„ახალი ბინა“ ბინის დაზღვევის, „პროგრამა „ძველი ქალაქის“ ფარგლებში – ქონების საბაზრო ღირებულება უშუალოდ სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე;

- ავეჯი - ახალი ანალოგის შეძენის ღირებულება წლიური 10% ცვეთის კოეფიციენტის გათვალისწინებით, რომელიც გამოიყენება ბოლო რესტავრაციის დასრულების თარიღიდან;
- საყოფაცხოვრებო ტექნიკა - ახალი ანალოგის შეძენის ღირებულება წლიური 12% ცვეთის კოეფიციენტის გათვალისწინებით;
- შიდა და გარე მოპირკეთება – აღდგენის ღირებულება წლიური 7% ცვეთის კოეფიციენტის გათვალისწინებით;
- მობილური ელექტროტექნიკა – წლიური 20% ცვეთის კოეფიციენტის გათვალისწინებით;
- სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები – ახალი ანალოგის შეძენის ღირებულება.

ამორტიზაცია/ცვეთა არ იქნება გათვალისწინებული, თუ სადაზღვევო პოლისის გრაფაში "განსაკუთრებული პირობები" მონიშნულია/მითითებულია ჩანაწერი - „ამორტიზაციის გარეშე";

1.4.2. ყოველთვიური ცვეთა ანგარიშდება წლიური ცვეთის მიხედვით - პროპორციულად, და არასრული თვისათვის იანგარიშება, როგორც სრული თვისათვის.

1.5. სადაზღვევო ანაზღაურების გამოთვლა ქვემოთ მოყვანილი მოდელის შესაბამისად:

1.5.1. ქონების დაკარგვის/განადგურების/დაღუპვის შემთხვევაში – დაკარგული/განადგურებული/დაღუპული ქონების **სადაზღვევო ღირებულების** მიხედვით.

1.5.2. ქონების დაზიანების შემთხვევაში– შეკეთების/გამოსწორების/გაწმენდის ხარჯები, რომელიც საჭიროა დაზიანებული ქონების აღსადგენად, მაგრამ არაუმეტეს დაზიანებული ქონების **სადაზღვევო ღირებულებისა**.

1.5.3. "ახალი ბინის" დაფარვის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისას რემონტთან, ავეჯთან, საყოფაცხოვრებო ტექნიკასთან, მობილურ ელექტროტექნიკასთან მიმართებით, რომელიც გაკეთებულია/შეძენილია არაუმეტეს 3 წლისა დაზღვევის დაწყების თარიღამდე, ცვეთა მხედველობაში არ მიიღება. თუ შეძენიდან დაზღვევის დაწყებამდე 3 წელზე მეტია გასული, ცვეთის კოეფიციენტი გამოიყენება მთელი ამ პერიოდის განმავლობისთვის**,** გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პოლისში "განსაკუთრებული პირობების" გრაფაში მითითებულია ჩანაწერი - "ამორტიზაციის გარეშე**".**

1.5.4. ანაზღაურებადი სარემონტო/აღდგენითი ხარჯები მოიცავს:

ა) დანახარჯებს რემონტის მასალაზე და სათადარიგო ნაწილებზე;
ბ) დანახარჯებს სარემონტო სამუშაოების ანაზღაურებაზე;
გ) დანახარჯებს, რომლებიც საჭიროა მასალების ადგილამდე მისატანად;
დ) სხვა დანახარჯებს, გაწეულს უშუალოდ სადაზღვევო შემთხვევამდე არსებული მდგომარეობის აღსადგენად.

1.5.5. ანაზღაურებას არ ექვემდებარება:

ა) დაზიანებული ობიექტის გაუმჯობესებაზე ან მისი მახასიათებლების ცვლილებაზე გაწეული დამატებითი დანახარჯები;
ბ) ჩვეულებრივი ექსპლუატაციისას პროფილაქტიკურ რემონტზე და მომსახურებაზე გაწეული დანახარჯები;
გ) ხარჯები, რომელთა გაწევაც აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისგან დამოუკიდებლად;
დ) სხვა ხარჯები, რომლებიც აღემატება საჭიროებას.

1.5.6. აღდგენითი დანახარჯები გამოითვლება სადაზღვევო შემთხვევის მომენტში არსებულ ფასებზე დაყრდნობით.

1.5.7. იმ შემთხვევაში, თუ ქონების აღდგენა სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის არსებული პარამეტრების შესაბამისად რაიმე მიზეზის გამო შეუძლებელი ან ეკონომიკურად მიზაშეუწონელია, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შესაძლოა აღსადგენი ობიექტის რიგი პარამეტრების შეცვლა.

1.5.8. ჩვენ ავანაზღაურებთ დანახარჯებს, რომელთა გაწევაც შესაძლოა, საჭირო

გახდეს წინასარემონტო სამუშაოების ფარგლებში, თუ ამგვარი სამუშაოები საბოლოო რემონტის ნაწილია და თუ ამით არ გაიზრდება რემონტზე გაწეული საერთო დანახარჯი.

1.5.9. აღდგენით სამუშაოებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი გაღებული უნდა იყოს დროულად და გონივრულ ფარგლებში.

ჩვენ არ ვიქნებით პასუხისმგებელი იმ დამატებით ზარალზე, რომელიც გამოწვეული იქნება პირველადი დაზიანების დროულად არაღმოფხვრის შედეგად.

1.5.10. არასრული დაზღვევა

იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო თანხა მნიშვნელოვნად ნაკლებია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის დასაზღვევად განცხადებული ქონების **სადაზღვევო ღირებულებაზე** (არასრული დაზღვევა), სადაზღვევო ანაზღაურების გამოანგარიშებისას გამოიყენება **პროპორციულობის მეთოდი** პროპორციულობის მეთოდი გულისხმობს ანაზღაურების გაცემას იმ პროპორციის მიხედვით, რა პროპორციაშიც არის სადაზღვევო თანხა დაზღვევის მომენტისათვის დაზღვეული ქონების საბაზრო ღირებულებასთან (სადაზღვევო ღირებულებასთან). ამასთან, ფრანშიზა გამოიქვითება პროპორციულობის მეთოდის მიყენების შემდეგ.

> **მაგალითი:** თუ დაზღვეული ქონების რეალური ღირებულებაა 100,000 აშშ დოლარი და იგი დაზღვეულია 80,000 აშშ დოლარზე (რაც ნიშნავს, რომ ქონება დაზღვეულია მისი რეალური ღირებულების 80%-ზე), და თუ ზარალის დადგომის შედეგად რეალურ ღირებულებაზე დაზღვევის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება შეადგენს 10 000 აშშ დოლარს, პროპორციულობის წესის მიყენების შემდეგ სადაზღვევო ანაზღაურების სახით გაიცემა მხოლოდ 8,000 აშშ დოლარი (10,000 აშშ დოლარის 80%).

მიუხედავად ზემოხსენებულისა, თუ სადაზღვევო პოლისისგრაფაში "განსაკუთრებული პირობები" მითითებულია, რომ დაზღვევის საგანი/საგნები "დაზღვეულია ერთჯერადი ლიმიტით", სადაზღვევო ანაზღაურების გამოთვლისას ამ დაზღვეული საგნის/საგნების მიმართ პროპორციულობის მეთოდი არ იქნება გამოყენებული, მაგრამ ერთი სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებისას დაფარვა საგნის/საგნების მიმართ სრულად ამოწურულად ჩაითვლება, მიუხედავად გადახდილი ანაზღაურების ოდენობისა.

1.5.12. გადაჭარბებული დაზღვევა

იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო თანხა აღემატება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის დასაზღვევად განცხადებული ქონების **სადაზღვევო ღირებულებას**, ჩვენ არ ვართ ვალდებული ავანაზღაუროთ ნამეტი თანხა.

იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა, რომ ქონება იყო დაზღვეული გაზრდილ თანხაზე უკანონო სარგებლის მიღების (უსაფუძვლო გამდიდრების) მიზნით, ჩვენ ვთავისუფლდებით ყველა ნაკისრი ვალდებულებისაგან.

1.5.13. ორმაგი დაზღვევა

თუ პოლისში მითითებული დაზღვეული ქონება ერთდროულად რამდენიმე მზღვეველთან აღმოჩნდება დაზღვეული (ორმაგი დაზღვევა), თქვენ ვალდებული ბრძანდებით, ასეთი ინფორმაციის შეტყობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გვაცნობოთ ჩვენ და შესაბამის წერილობით შეტყობინებაში აღნიშნოთ სხვა მზღვეველების ვინაობა და მათი პასუხისმგებლობის მოცულობა. ასეთ შემთხვევაში მზღვეველები დამდგარ ზარალში მონაწილეობას მივიღებთ, როგორც სოლიდარული მოვალეები ჩვენი პასუხისმგებლობის მოცულობის პროპორციულად, მაგრამ თქვენ არა გაქვთ უფლება, მიიღოთ ჯამში რეალურ ზიანზე მეტი თანხა.

1.6. დაზღვევა მესამე პირთა სასარგებლოდ

1.6.1. თქვენ შეგიძლიათ დადოთ დაზღვევის ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ, ანუ დანიშნოთ მოსარგებლე.

1.6.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე **თქვენ** შეგიძლიათ შეცვალოთ ხელშეკრულებაში მითითებული მოსარგებლე სხვა პირით, რის შესახებაც წერილობით

უნდა გვაცნობოთ. მოსარგებლის შეცვლა უნდა გაფორმდეს წერილობითი შეთანხმებით.

1.6.3. დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება მოსარგებლის სახელზე არ გათავისუფლებთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისაგან, თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.6.4. **ჩვენ** შეგვიძლია მოვითხოვოთ მოსარგებლისაგან დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

1.6.5. ჩვენ მხოლოდ მაშინ ვართ ვალდებული გადაგიხადოთ მოსარგებლის სასარგებლოდ, თუ მოსარგებლე ეთანხმება დაზღვევის ხელშეკრულებას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ნაწილი II
დამატებითი დაფარვა

2.1. <u>დაზღვეული ქონების ექსპლუატაციის შედეგად მესამე პირთა წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის დაზღვევა</u>

2.1.1. **ჩვენ** ავანაზღაურებთ **თქვენზე** დაკისრებულ მატერიალურ სამოქალაქო პასუხისმგებლობას, თუ დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ძირითადი პროგრამის მიხედვით დაზღვეული ქონების არასათანადო ან დაუდევარი ექსპლოატაციის შედეგად წარმოიქმნა ხანძარი, აფეთქება ან დატბორვა და რომელმაც, თავის მხრივ, ზარალი მიაყენა მესამე პირის (პირთა) ქონებას, გარდა პასუხისმგებლობისა, რომელიც:

- წარმოქმნილია იმ ქონების დაზიანებით ან განადგურებით, რომელიც თქვენ მიერ იჯარით არის აღებული ან იმყოფება თქვენი ან თქვენი ოჯახის წევრების კონტროლის ქვეშ ან თქვენი ნათესავების მფლობელობაში.
- აღემატება კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- დაკისრებულია რაიმე ხელშეკრულების შესაბამისად ან საჯარიმო სანქციების სახით.

ჩვენ ვთავისუფლდებით 2.2.1. პუნქტით აღებული ვალდებულებებისგან იმ შემთხვევაში, თუ თქვენ განგებ გამოიწვიეთ მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დადგომა.

2.1.2. სადაზღვევო ანაზღაურების გამოთვლა

სადაზღვევო ანაზღაურება გამოითვლება მესამე პირების ქონებისათვის **თქვენი** ბრალეული ქმედებით მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობიდან, იმ პრინციპების გათვალისწინებით, რომლებიც გამოიყენება ქონებისათვის მიყენებული ზარალის ოდენობის გამოთვლისას ძირითად პროგრამაში.

2.1.3. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობაზე ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურების სიდიდე განისაზღვრება მესამე პირისათვის მატერიალური კომპენსაციის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე. ამ შემთხვევაში **ჩვენ,** ასევე, ავანაზღაურებთ **ჩვენი** თანხმობით სასამართლოში და სასამართლოს გარეშე დაცვაზე გაწეულ ხარჯებს. ამასთან, ანაზღაურების გაცემის საფუძველი არ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც თქვენ ან/ და თქვენი წარმომადგენელი საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე თავად ცნობთ სარჩელს ან მის ნაწილს ჩვენთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე.

2.1.4. ჩვენთან წერილობითი შეთანხმების გარეშე თქვენ მიერ მესამე პირებისთვის ზიანის ანაზღაურების ან რაიმე სხვა (მათ შორის, სასამართლოში ან სასამართლოს გარეშე დაცვაზე) ხარჯების გაწევის შემთხვევაში ჩვენ ვთავისუფლდებით გადახდილი თანხის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

2.2. საიჯარო შემოსავლის დაკარგვა

2.2.1. იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად **თქვენი** ქონება ცხოვრებისთვის გამოუსადეგარ მდგომარეობაშია, ქონების აღდგენამდე ან ახალი ქონების შეძენამდე, მაგრამ არაუმეტეს პოლისით განსაზღვრული მაქსიმალური პერიოდისა და ლიმიტისა, **ჩვენ** ავანაზღაურებთ:
თქვენ მიერ დაკარგულ საიჯარო შემოსავალს, თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაზღვეული ქონება გაქირავებული იყო დაზღვეული საიჯარო ხელშეკრულებით.
2.2.2. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა განხორციელდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის დაზღვეული საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე.
2.2.3. **ჩვენ** ვთავისუფლდებით სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებისაგან, თუ **თქვენ** სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არ შეგვატყობინებთ ჩვენ დასაზღვევად განცხადებული იჯარის ხელშეკრულების ცვლილების/შეწყვეტის შესახებ.
2.2.4. ანაზღაურების გადახდა განხორციელდება იმ პირობით, რომ ქონების აღდგენა მოხდება გონივრულ ვადებში. **ჩვენ** არ ვართ პასუხისმგებელი თქვენი არაკეთილსინდისიერი ქცევით ან/და გადახდისუუნარობით გამოწვეულ გაჭიანურებებზე.

2.3.მოიჯარის მიერ მიყენებული ზიანისაგან დაზღვევა

2.3.1. აღნიშნული დაფარვა განკუთვნილია იმ შემთხვევისთვის, როდესაც განაცხადსა და პოლისში მითითებულ მოიჯარეს წარმოექმნება პასუხისმგებლობა თქვენ წინაშე იმ ქონებისთვის მიყენებული ზიანისთვის, რომელიც დაზღვეულია პოლისით განსაზღვრული ძირითადი სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში, გარდა პასუხისმგებლობისა, რომელიც:

- თქვენ წინაშე წარმოექმნება, პოლისში მოიჯარედ დეკლარირებულის გარდა, სხვა პირს;
- გულისხმობს თანხის გადახდას, რომელიც აღემატება მსგავსი ზიანისათვის შესაძლო ანაზღაურების ოდენობას ძირითადი პროგრამის მიხედვით და/ან აღემატება სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას და/ან რომელიც მოიჯარეს ეკისრება მხოლოდ რაიმე ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე.

2.3.2. სადაზღვევო ანაზღაურების გამოთვლა
სადაზღვევო ანაზღაურების გამოთვლა და გადახდა განხორციელდება ძირითადი დაფარვისათვის გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად 2.4.1.პირობების გათვალისწინებით.

2.3.3. ანაზღაურების განუყოფელი პირობაა **თქვენ** მიერ **ჩვენთვის** რეგრესული მოთხოვნის გადაცემა **თქვენი** მოიჯარის მიმართ და ამისათვის საჭირო ყველა დოკუმენტის გაფორმებაში და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაში დახმარების გაწევა.

ნაწილი III
ზოგადი პირობები

3.1. ზოგადი გამონაკლისები

ქვევით მოცემული გამონაკლისები ძალაშია სადაზღვევო დაფარვის ყოველი ზემოთ განსაზღვრული ტიპისთვის (ნაწილი I, II).

დაზღვევა არ ვრცელდება და, შესაბამისად, ჩვენ ვთავისუფლდებით სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებისაგან იმ დანაკარგის, განადგურების და ზიანისთვის:

3.1.1. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ დაზღვეული ქონება ავარიულ მდგომარეობაში მყოფ შენობათა რიცხვს მიეკუთვნა.

3.1.2. თუ დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ დაზღვევის ტერიტორია აღიარებული იქნა შესაძლო სტიქიური უბედურების ზონად.

3.1.3. რომელიც გამოწვეულია **თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის ან მოსარგებლის** მიერ ჩადენილი განზრახ ქმედებით, უხეში გაუფრთხილებლობით ან მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით.

3.1.4. რომელიც გამოწვეულია ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს ბრძანებით, განკარგულებით, ქმედებით, კონფისკაციით, რეკვიზიციით, ექსპროპრიაციით ან ამგვართა მცდელობით.

3.1.5. რომელიც გამოწვეულია მშენებლობის საინჟინრო ან სხვაგვარი დეფექტით, ცუდი კონსტრუქციით, მასალებით ან მუშახელით, შეუსაბამო ან/და არასწორი დიზაინით ან/და პროექტირებით; ჩრჩილით, ბაქტერიებით, პარაზიტებით, ქონების ლპობით, ცვეთით, ეროზიით, კოროზიით, დაჟანგვით, თანდაყოლილი დეფექტით, მაღალი ცვალებადი ტემპერატურით ან ტენიანობით, ფერმენტაციით, აორთქლებით, შემადგენლობის შეცვლით, წონის შემცირებით, გადახურებით, გამოშრობით, დეფექტური მასალების გამოყენებით, ქონების სხვა ბუნებრივი თვისებებით.

3.1.6. რომელიც გამოწვეულია შენობა/ნაგებობების კაპიტალური რემონტის ჩატარებით, გარდა მესამე პირთა წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობისა.

3.1.7. რომელიც გამოწვეულია ომით, დაპყრობით, უცხოელი მტრის ქმედებებით, საომარი მოქმედებებით (მიუხედავად იმისა, გამოცხადებულია ომი თუ არა), საზოგადოებრივი არეულობებით, სამოქალაქო ომით, აჯანყებით, რევოლუციით, ამბოხებით საბოტაჟით, შეიარაღებული გამოსვლებით, ატომური იარაღის გამოყენებით, მანიფესტაციებით, ლოკაუტით, გაფიცვით, ან სამხედრო ან უკანონო ხელისუფლებით, ტერორიზმის ნებისმიერი აქტით, სხვა დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით.

3.1.8. რომელიც გამოწვეულია რადიაციით ან დაბინძურებით, გარდა სადაზღვევო შემთხვევის შედეგად გამოწვეული დაბინძურებისა. რადიოაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან ნებისმიერი ბირთვული ნივთიერების შემცვლელი აირით.

3.1.9. შესაბამის დაფარვაში აღნიშნულის გარდა, სხვა რისკებით ;

3.1.10. დაზღვეული ქონების პირდაპირი დანიშნულების ტერიტორიაზე (დაზღვევის ტერიტორია) არყოფნით;

3.1.11. წინამდებარე დაზღვევა არ ითვალისწინებს ნებისმიერი სახის მოწყობილობის ან დანადგარის ელექტროობის დაზიანებას, თუ ეს უშუალოდ ან არაპირდაპირ გამოწვეულია მოკლე ჩართვით ან დენის ცვალებადობით. ეს გამონაკლისი არ ეხება ასეთი მოკლე ჩართვის შედეგად გამოწვეული ხანძრით სხვა ქონების დაზიანებას;

3.1.12. რომელიც გამოწვეულია არაკეთილსინდისიერი ქმედებით, მათ შორის, თაღლითობით, გამოძალვით, შანტაჟით;

3.1.13. რომელიც გამოწვეულია ქმედებით, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მზღვეველს უფლებამოსილებას ანიჭებს, უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურებაზე.

3.1.14. თუ პოლისის გაცემა მოხდა დამზღვევის მიერ წარმოდგენილი არასწორი ინფორმაციის საფუძველზე, კერძოდ, დაზღვევის განაცხადში **თქვენ** არასწორად მიუთითეთ შენობის აშენების წელი ან ამორტიზაციის/ცვეთის გარეშე დაზღვევისას - ბოლო რემონტის თარიღი. ასეთ შემთხვევებში, გარდა იმისა, რომ ანაზღაურება არ გაიცემა, თავად დაზღვევის ხელშეკრულება/პოლისი ითვლება ბათილად და **ჩვენ** ვალდებულნი ვართ, დაგიბრუნოთ ჩვენ მიერ მიღებული პრემია.

3.2. სადაზღვევო თანხა

3.2.1. სადაზღვევო თანხა არის თქვენსა და ჩვენ შორის შეთანხმების შედეგად სადაზღვევო პოლისში განსაზღვრული ფულადი თანხის ზღვრული ოდენობა, რომლის ფარგლებშიც ჩვენ გადაგიხდით სადაზღვევო ანაზღაურებას, თითოეული სადაზღვევო დაფარვის მიხედვით;

3.2.2. ჩვენ შორის შეთანხმების საფუძველზე, პოლისში დადგენილი სადაზღვევო თანხის ფარგლებში შეიძლება განისაზღვროს ჩვენი პასუხისმგებლობის ქვე-ლიმიტი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების გადასახდელ ზღვრულ ოდენობას:

3.2.2.1. თითოეული რისკისათვის;

3.2.2.2. თითოეული/ცალკეული სადაზღვევო შემთხვევისათვის ან/და თითოეული დაზარალებულისათვის;

3.2.3. თუ სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების შემდეგ თქვენ მიერ დამატებითი პრემიის საფუძველზე არ მოხდება სადაზღვევო თანხის აღდგენა, სადაზღვევო თანხა შემცირდება ანაზღაურებული თანხის ოდენობით;

3.2.4. სადაზღვევო პოლისში განისაზღვრება ფრანშიზა, რაც წარმოადგენს თანხის იმ ოდენობას, რომელიც აკლდება მთლიან ანაზღაურებას და რომელზეც ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი;

3.2.4.1 პირობითი ფრანშიზა – თანხობრივად გამოხატული პირობითი ზღვარი. თუ ზარალი ამ პირობით ზღვარზე ნაკლებია ან მისი ტოლია, ჩვენ მას არ ავანაზღაურებთ. თუ ზარალი აღემატება ამ პირობით ზღვარს, ჩვენ ავანაზღაურებთ ზარალის მთლიან ოდენობას;

3.2.4.2. უპირობო ფრანშიზა – ის მინიმალური თანხა, რომელიც ყოველთვის გამოაკლდება მთლიანი ზარალის ოდენობას;

3.2.4.3. თუ პოლისში ფრანშიზის ტიპი არ არის მითითებული, გამოიყენება უპირობო ფრანშიზა;

3.2.4.5. ფრანშიზა შესაძლოა განისაზღვროს როგორც ყველა, ისე ცალკეული სახის ზიანისათვის ამ დოკუმენტით დადგენილი ლიმიტების შესაბამისად.

3.3. სადაზღვევო პრემია და მისი გადახდის პირობები

3.3.1. სადაზღვევო პრემია წარმოადგენს დაზღვევის საფასურს, რომელიც თქვენ უნდა გადაგვიხადოთ წინამდებარე პირობების თანახმად და სადაზღვევო პოლისით დაწესებული და გათვალისწინებული წესითა და ვადებში;

3.3.2. სადაზღვევო პრემიის გადახდა ხდება ერთჯერადად ან განსაზღვრული პერიოდულობით. სადაზღვევო პრემიის გადახდის პერიოდულობა, ვადები და სხვა არსებითი პირობები განისაზღვრება პოლისის გაფორმებისას.

3.3.3. პრემიის დროულად, სადაზღვევო პოლისით დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში, ჩვენ განგისაზღვრავთ გადახდის ორკვირიან დამატებით ვადას. თუ ამ ორკვირიანი ვადის გასვლის შემდგომ ადგილი ექნება სადაზღვევო შემთხვევას, და გადახდა არ იქნება განხორციელებული, ჩვენ ვთავისუფლდებით ანაზღაურების მოვალეობისაგან.

3.3.4. ამასთან, პრემიის დროულად გადაუხდელობა უფლებას გვაძლევს ერთი თვით ადრე გაგაფრთხილოთ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ შევწყვიტოთ დაზღვევის ხელშეკრულება.

3.3.5. თუ სადაზღვევო ანაზღაურების მომენტისათვის თქვენ გერიცხებათ დავალიანება, ჩვენ უფლებამოსილი ვართ, ანაზღაურების თანხიდან გამოვქვითოთ შესაბამისი დავალიანების თანხა.

3.4. დაზღვევის მოქმედების ტერიტორია

3.4.1. ქონება ჩაითვლება დაზღვეულად მხოლოდ იმ მისამართზე, რომელიც მითითებულია **პოლისში** როგორც დაზღვევის ობიექტის მისამართი. დაზღვეული ქონების **პოლისში** მითითებული მისამართიდან ნებისმიერი გადაადგილების მომენტიდან წყდება ამ დაზღვევით გათვალისწინებული ნებისმიერი დაფარვა ამ გადაადგილებულ ქონებასთან მიმართებით, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული კონკრეტულ სადაზღვევო დაფარვაში (მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა).

3.5. რისკის ხარისხის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მოწოდების ვალდებულება

3.5.1. **თქვენ** ვალდებული ხართ, დაზღვევის გაფორმებისას შეგვატყობინოთ ყველა **თქვენთვის** ცნობილი გარემოების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს სადაზღვევო შემთხვევების დადგომის რისკის შეფასებაზე.
3.5.2. ჩვენ გვაქვს უფლება, სადაზღვევო პოლისის გაცემამდე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში პოლისის გაცემის შემდეგაც, მოგთხოვოთ ნებისმიერი დოკუმენტის წარმოდგენა, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება სადაზღვევო შემთხვევის ალბათობა;
3.5.3. რისკის ხარისხის ცვლილების შესახებ **ჩვენთვის** დროულად შეუტყობინებლობის შემთხვევაში **ჩვენ** უფლებას ვიტოვებთ უარი განვაცხადოთ **სადაზღვევო ანაზღაურების** გადახდაზე.
3.5.4. დაზღვეული ქონების გასხვისებისას აუცილებელია დაუყოვნებლივ გვაცნობოთ ახალი მფლობელის ვინაობა და საკონტაქტო დეტალები.
3.5.5. ინფორმაციის ჩვენთვის მოწოდების ვალდებულება მოქმედებს მთელი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში და არ შემოიფარგლება მხოლოდ რისკის ხარისხის შეფასებისათვის აუცილებელი ინფორმაციით, არამედ მოიცავს ანაზღაურების ოდენობის ან/და ჩვენი ვალდებულებების წარმოშობასთან დაკავშირებულ ინფორმაციასაც.
3.5.6. თქვენ ვალდებული ხართ, მიიღოთ ყველა საჭირო და აუცილებელი ზომა, რათა თავიდან აიცილოთ დაზღვეული ქონების დაზიანება პოლისით გათვალისწინებული მთლიანი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში.

3.6. რა შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს სადაზღვევო პირობები

3.6.1. სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდში სადაზღვევო რისკის ზრდისშემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია მოვითხოვოთ დაზღვევის პირობების შეცვლა ან დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდა. ჩვენ მიერ მიღებული ამგვარი გადაწყვეტილება თქვენთვის სავალდებულო ხასიათს ატარებს;
3.6.2. თქვენ მიერ გაცხადებული უარი დაზღვევის პირობების შეცვლაზე ან დამატებითი პრემიის გადახდაზე გვაძლევს უფლებას, გავაუქმოთ სადაზღვევო პოლისი აღნიშნული ცვლილებების დადგომის მომენტიდან და შევწყვიტოთ დაზღვევის მოქმედება წინასწარი ერთთვიანი ვადის დაცვით. ვადის დაცვა არ არის საჭირო, თუ სადაზღვევო რისკის ზრდა თქვენი ან თქვენი ოჯახის წევრის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული;
3.6.3. იმ გარემოებათა შეცვლის შემთხვევაში, რომლებიც გავლენას ახდენს დაზღვევის ხელშეკრულების არსებით პირობებზე, მათ შორის, რისკის ხარისხის ცვლილების, დაზღვევის მოცულობის, პოლისის მოქმედების ვადის ან სადაზღვევო პრემიის ოდენობის ჩათვლით, თქვენ გადმოგეცემათ ჩვენ მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული პოლისის დანართი.

3.7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.7.1. თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, პოლისი გაიცემა ერთი წლის ვადით;

3.7.2. დაზღვევა შედის ძალაში სადაზღვევო პოლისში მითითებული თარიღის **პირველი დღის 24 საათიდან და მოქმედებს პოლისით გათვალისწინებული ვადის ბოლო დღის 24 საათამდე**, ხოლო ჩვენ თავისუფალი ვართ ნებისმიერი პასუხისმგებლობისაგან პრემიის პირველი ან ერთჯერადი შენატანის გადახდამდე. ხოლო, თუ სადაზღვევო პოლისი მრავაწლიანია, როგორც პირველი, ისე ყოველი მომდევნო წლის პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის გადახდამდე.

3.8. პოლისის მოქმედების შეწყვეტა

3.8.1. დამატებითი ვადისა და გაფრთხილების გარეშე პოლისის მოქმედება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე წერილობითი შეტყობინების გარეშე შემდეგ გარემოებებში:

3.8.1.1. პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო თანხის ამოწურვისას/ვადის გასვლისას;

3.8.1.2. თუ დაზღვევის ძალაში შესვლის შემდეგ გაქრება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესაძლებლობა და შეწყდება სადაზღვევო რისკის არსებობა ნებისმიერი გარემოებით, გარდა სადაზღვევო შემთხვევისა;

3.8.1.3. თუ სადაზღვევო რისკის ზრდა ან ქმედება, რომლის შედეგად დაგიდგათ ზიანი, თქვენი ან თქვენი ოჯახის წევრის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული;

3.8.1.4. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში;

3.8.1.5 თუ თქვენ მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდა ხორციელდება შესაბამისი საბანკო დაწესებულებისათვის წერილობითი დავალების მიცემის გზით, რომლის თანახმადაც შესაბამისი ბანკი უაქცეპტო წესით ახორციელებს პოლისით შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით სადაზღვევო პრემიის თქვენი ანგარიშიდან ჩამოჭრასა და ჩვენთვის გადმორიცხვას და თქვენ ასეთ წერილობით დავალებას გააუქმებთ სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე და ასეთი გაუქმების თარიღამდე მინიმუმ 2 (ორი) კვირით ადრე ჩვენ წერილობითი ფორმით არ ვიქნებით ინფორმირებული ასეთი გაუქმების და სადაზღვევო პრემიის გადახდის სხვა ფორმა არ იქნება ჩვენ შორის წერილობით შეთანხმებული, ან თუ სადაზღვევო პრემიის გადახდის (ანგარიშიდან ჩამოჭრის) თარიღისათვის საკმარისი თანხა არ იქნება თქვენს საბანკო ანგარიშზე, რის გამოც სადაზღვევო პრემიის უაქცეპტო წესით ჩამოჭრა ვერ განხორციელდება სრულად - აღნიშნულ შემთხვევებში დაზღვევა ავტომატურად შეწყდება თქვენ მიერ უკვე გადახდილი სადაზღვევო პრემიის სრულად გამომუშავების თარიღიდან.

3.8.2. პოლისის მოქმედება შესაძლებელია შეწყდეს ერთთვიანი ვადის დაცვით წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შემდეგ გარემოებებში:

3.8.2.1. პოლისით გათვალისწინებულ ვადებში სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობისას.

3.8.2.2. სადაზღვევო რისკის გაზრდის შემთხვევაში თქვენ მიერ დამატებითი პრემიის გადახდაზე/დაზღვევის პირობების შეცვლაზე უარის განცხადებისას.

3.8.2.3. დაზღვეული ქონების გასხვისებისას.

3.8.2.4. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

3.8.3. დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისას თქვენ ვალდებული ხართ ნებისმიერ შემთხვევაში დაფაროთ გამომუშავებული სადაზღვევო პრემია. ამასთან, ჩვენ მიერ პოლისის მოქმედების პერიოდში ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების შემთხვევაში გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია დაბრუნებას არ დაექვემდებარება, ხოლო განვადებით სადაზღვევო პრემიის გადახდისას გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია დაექვემდებარება თქვენ მიერ სრულად დაფარვას.

3.9. როგორ ხდება სადაზღვევო აქტის შედგენა

3.9.1. მზღვეველის მიერ შედგენილ სადაზღვევო აქტს ხელს აწერს როგორც მზღვეველი, ისე დამზღვევი/ მოსარგებლე.
3.9.2. მხარეთა მიერ ხელმოწერილი სადაზღვევო აქტი წარმოადგენს მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველს. დამზღვევის/ მოსარგებლის მიერ სადაზღვევო აქტის ხელმოწერამდე მზღვეველი უფლებამოსილია, არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება.

3.10. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისასთქვენ ვალდებული ხართ:

3.10.1. შემთხვევის დადგომისთანავე დაუყოვნებლივ აცნობოთ მომხდარის შესახებ შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს(საპატრულო პოლიციას, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურს, შესაბამისი საავარიო მომსახურების ორგანოებს და სხვა) და, აგრეთვე, **ჩვენ**(**ჩვენს**24-საათიან სატელეფონო ცენტრს).
3.10.2. მიიღოთ ყველა შესაძლო გონივრული ზომა ზარალის შემდგომი გავრცობის შეწყვეტისათვის, მისი ოდენობის შემცირების ან დაზიანებული ქონების გადარჩენის მიზნით ასეთი ზომების მიღებისას უნდა იმოქმედოთ ჩვენი ზეპირი ან/და წერილობითი ინსტრუქციების შესაბამისად, თუ ასეთი გაცემულია;
3.10.3. ჩვენი წარმომადგენლის მისვლამდე ობიექტური შესაძლებლობის ფარგლებში შეინარჩუნოთ არსებული მდგომარეობა შემთხვევის ადგილზე.
3.10.4. მიიღოთ ყველა ზომა, რათა უზრუნველყოთ **ჩვენი** რეგრესული მოთხოვნა მესამე პირების მიმართ, რომლებიც პასუხს აგებენ **სადაზღვევო შემთხვევის** შედეგად მიყენებულ ზიანზე.
3.10.5. ხელი შეგვიწყოთ სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, მიყენებული ზიანის გარემოებებისა და ოდენობის მოკვლევა-მოძიებაში.
3.10.6. სადაზღვევო შემთხვევის მომენტიდან არაუგვიანეს 1 კვირისა მოგვაწოდოთ წერილობითი განცხადება დაზიანებული ქონების ჩამონათვალისა და მისი აღდგენითი/შენაცვლებითი მიახლოებითი ღირებულებების მითითებით.

3.10.7. შემთხვევის დადგომიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში **მოგვაწოდოთ შემდეგი დოკუმენტები:**

ა) წერილობითი შეტყობინება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
ბ) სადაზღვევო პოლისის ორიგინალი;
გ) სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისათვის დადგენილი ფორმის წერილობითი განაცხადი, რომელშიც უნდა აისახოს თქვენთვის ცნობილი ყველა გარემოება, რომელიც სადაზღვევო შემთხვევას და სავარაუდო ზარალის სიდიდეს შეეხება;
დ) სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული, კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული შემთხვევის გარემოებების დამადასტურებელი ცნობები:ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურიდან,ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრიდან, საპატრულო პოლიციიდან, მსს-დან, პროკურატურიდან ან სხვა სამართალდამცავი ორგანოებიდან (მათი კომპეტენციის ფარგლებში მომხდარი შემთხვევის ხასიათის მიხედვით);
ე) საკუთრების უფლების ან სხვა ქონებრივი ინტერესის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ნასყიდობის ხელშეკრულება, იჯარის ხელშეკრულება და ა.შ.);
ვ) ზარალის ოდენობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
ზ) თქვენი საბანკო რეკვიზიტები.

3.10.8. სადაზღვევო პერიოდში პოლისის დაკარგვის შემთხვევაში თქვენ უნდა წარმოგვიდგინოთ წერილობითი განცხადება, რომლის საფუძველზეც ჩვენ გავცემთ პოლისის დუბლიკატს (სათანადო გრიფით, რაც ადასტურებს, რომ პოლისი დუბლირებულია). პოლისის დუბლიკატის საიდენტიფიკაციო მონაცემები უცვლელი

დარჩება, ხოლო დაკარგული პოლისი ძალადაკარგულად ითვლება და მის საფუძველზე წარმოდგენილი მოთხოვნები ანაზღაურებას არ ექვემდებარება.
ჩვენ ვიტოვებთ უფლებას საჭიროების შემთხვევაში მოვითხოვოთ დამატებითი დოკუმენტები, თუ ზემოთ მითითებული დოკუმენტების საფუძველზე შეუძლებელია ზარალის გარემოებების დადგენა ან/და ზიანის ოდენობის ზუსტად გაანგარიშება.
3.10.9. დაზღვეული ქონების ექსპლუატაციის შედეგად მესამე პირთა წინაშე წარმოქმნილი ქონებრივი პასუხისმგებლობის დაფარვის მიხედვით სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას,ასევე, აუცილებელია:

- **ჩვენი** წერილობითი თანხმობის გარეშე **თქვენ**არ აღიაროთ თქვენი ბრალეულობა და არ აიღოთ საკუთარ თავზე ზარალის ანაზღაურების ვალდებულება.
- მიიღოთ ყველა ზომა იმისათვის, რომ დაზარალებულმა მხარემ, **ჩვენ** მიერ ზარალის ანაზღაურებაზე მოთხოვნის განხილვამდე, არ მიმართოს სასამართლოს.
- საჭიროების შემთხვევაში გადასცეთ **ჩვენ** მიერ დანიშნულ პირს **უფლებები**:
  - აწარმოოს მოლაპარაკებანი დაზარალებულ პირებთან და მათ წარმომადგენლებთან, და
  - წარმოგადგინოთ სასამართლო პროცესში, ყველა პროცესუალური უფლებამოსილებით, ქონებრივ მოთხოვნებზე პასუხისმგებლობის აღიარების (სარჩელის ცნობის) უფლების ჩათვლით.

3.10.10. მოჯარის/მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დაფარვის მიხედვით, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, ასევე, დროულად შეგვატყობინოთ მესამე პირის/მეჯარის **დაზიანებული ქონების ექსპერტიზის ჩატარების დრო** და ზარალის განსაზღვრის მიზნით მოგვცეთ საშუალება ჩავატაროთ დამოუკიდებელი ექსპერტიზა.

ჩვენ შეგვიძლია მოვითხოვოთ მესაკუთრისგან/მოსარგებლისაგან დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული თქვენი ყველა ვალდებულებების შესრულება.

3.11. როგორ ხდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა

3.11.1. **ჩვენ** გადავიხდით სადაზღვევო ანაზღაურებას სადაზღვევო აქტის ხელმოწერიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, თუ ადგილი არა აქვს მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, შეღწევით ქურდობას, ძარცვას, ყაჩაღობას, როდესაც **სადაზღვევო ანაზღაურება** გაიცემა 2 (ორი) თვის მოცდის პერიოდის შემდეგ გაფორმებული სადაზღვევო შემთხვევის აქტის საფუძველზე. ამასთან, ჩვენ მხოლოდ მაშინ ვართ ვალდებული გადაგიხადოთ მოსარგებლის სასარგებლოდ, თუ მოსარგებლე ეთანხმება დაზღვევის ხელშეკრულებას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
3.11.2. ჩვენ უფლებას ვიტოვებთ გადავავადოთ სადაზღვევო ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თუ სადაზღვევო რისკის ხდომლების ფაქტთან დაკავშირებით თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის (მოსარგებლის) ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.
3.11.3. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის გამოთვლა რეგულირდება კონკრეტული დაფარვის მიხედვით, დაზიანებული/განადგურებული ქონების დათვალიერების და კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტების საფუძველზე.
3.11.4. სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა ლიმიტირებულია **სადაზღვევო თანხით**, მიუხედავად სადაზღვევო შემთხვევების რაოდენობისა და ზარალის სიდიდისა.
3.11.5. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისას მას გამოაკლდება სადაზღვევო პოლისში მითითებული **ფრანშიზა და ცვეთა**.
3.11.6. სადაზღვევო პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება შემცირდება გადაუხდელი პრემიის ოდენობით.
3.11.7. თუ ზარალის ანაზღაურება **თქვენთვის** ან/და მოსარგებლისთვის განხორციელდა მესამე პირის/ების მიერ, **ჩვენ** ავანაზღაურებთ მხოლოდ სხვაობას დაზღვევის ხე-

ლშეკრულებით **ჩვენ** მიერ ასანაზღაურებელ თანხასა და მესამე პირის მიერ ანაზღაურებულ თანხას შორის. **თქვენ** დაუყოვნებლივ უნდა შეგვატყობინოთ აღნიშნული თანხის მიღების შესახებ.

3.11.8. ქონების მთლიანი ღირებულების ანაზღაურების შემთხვევაში (ასევე, ცალკეული ქონების დაზიანებისას შეცვლილ ნაწილებზე) თქვენ ვალდებული ხართ გადმოგვცეთ ჩვენ საკუთრების უფლება ნარჩენებზე და შეასრულოთ ყველა ის მოქმედება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ამ მიზნისათვის. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მიერ ობიექტური მიზეზებით (რაც არ არის დაკავშირებული თქვენ მიერ წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევასთან ან მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან) ვერ ხორციელდება ქონებაზე ჩვენთვის საკუთრების უფლების/ მფლობელობის გადმოცემა წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული წესით, ჩვენ უფლებამოსილი ვართ ქონების ნარჩენი ღირებულება გამოვქვითოთ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურებიდან ან, თუ სადაზღვევო ანაზღაურება უკვე გაცემულია - მოვითხოვოთ ასეთი თანხების ანაზღაურება თქვენგან. ამასთან, ასეთ შემთხვევაში ნარჩენი ღირებულების განსაზღვრა ხდება ჩვენი ან ჩვენ მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მიერ.

3.11.9. თუ გაირკვა, რომ ქონების განადგურება ან დაზიანება გამოწვეული იყო მესამე პირის ქმედებით, **ჩვენ** უფლება გვაქვს გამოვიყენოთ რეგრესის წესი და მოვითხოვოთ გადახდილი თანხის ანაზღაურება ბრალეული მხარისაგან.

3.11.10. თუ **თქვენი** ბრალით **ჩვენ** მიერ რეგრესის უფლების გამოყენება შეუძლებელი გახდა, **ჩვენ** უფლება გვაქვს უარი ვთქვათ/უკან მოვითხოვოთ **თქვენგან** გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების დაბრუნება.

3.12. სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის თქმა

3.12.1. ჩვენ თავისუფალი ვართ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ **თქვენ**:

ა) არშეასრულეთთქვენზეამსადაზღვევოპირობებითდაკისრებულივალდებულებები;

ბ) არ გადმოგვეცით რეგრესის უფლება/არ მოგვაწოდეთ ის დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა შემთხვევაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ რეგრესის მოთხოვნის წასაყენებლად.

გ) არ გადააფორმეთ ჩვენზე საკუთრების უფლება დაკარგულ/განადგურებულ/ დაღუპულ ქონებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ პირობების მიხედვით, ამ ქონების სადაზღვევო ღირებულება გამოთვლილ იქნა როგორც ქონების აღდგენითი ღირებულება.

თუ **თქვენ** მიერ **თქვენზე** დაკისრებული ვალდებულებების დარღვევის მომენტისათვის **ჩვენ** უკვე განვახორციელეთ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა, **თქვენ** ვალდებული ხართ დააბრუნოთ მიღებული ანაზღაურება.

3.12.2. ჩვენ უფლება გვაქვს უარი ვთქვათ სადაზღვევო ანაზღაურებაზე იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა შემდეგ გარემოებებს:

ა) **თქვენ/თქვენი** ოჯახის წევრმა განზრახ ან უხეში გაუფრთილებლობით ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც პირდაპირ კავშირშია სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან.

ბ) **თქვენ** დაარღვიეთ სადაზღვევო შემთხვევის/რისკის ზრდის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვადა.

გ) თქვენ მიერ წარმოდგენილი რისკის შეფასების/სადაზღვევო შემთხვევის აღიარების/ სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის გამოთვლისათვის საჭირო ინფორმაცია/ დოკუმენტაცია არაზუსტი ან ყალბია.

დ) თქვენ უარი განაცხადეთ უზრუნველყოთ **ჩვენი** წარმომადგენლის მონაწილეობა სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, მიყენებული ზიანის სიდიდისა და სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული სხვა მონაცემების მოკვლევა-მოძიებაში.

ე) თქვენ არ წარმოგვიდგინეთ ჩვენ მიერ მოთხოვნილი ამ პირობებით

გათვალისწინებული რომელიმე დოკუმენტი.

ვ) თქვენ ჩვენთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე გადაუხადეთ მესამე პირს კომპენსაცია ან აანაზღაურეთ სასამართლო ან/და სასამართლოს გარეშე დაცვის ხარჯები.

ზ) გადააცილეთ პრემიის გადაუხდელობის მიზეზით ჩვენ მიერ დადგენილ ორკვირიან ვადას.

თ) ჩვენ მიერ დაზღვეულ ინტერესთან მიმართებით ადგილი ჰქონდა ორმაგ დაზღვევას, მაგრამ თქვენ ასეთი ორმაგი დაზღვევის შესახებ ჩვენთვის ინფორმაცია არ მოგიწოდებიათ წერილობითი ფორმით.

ი) თქვენ ვერ შეასრულეთ თქვენზე პოლისით, წინამდებარე პირობებით და საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ვალდებულებები

k) წინამდებარე პირობების I ლი ნაწილის 1.5.12, II-ე ნაწილის 2.1.4 პუნქტით, 2.2.3. პუნქტით, 2.2.4. პუნქტით, მესამე ნაწილის 3.5.3 პუნქტით და 3.7.2. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე უარი **თქვენ** გადმოგეცემათ წერილობითი ფორმით, სადაც მოყვანილი იქნება ანაზღაურებაზე უარის თქმის დასაბუთებული მიზეზები.

3.12.3. თქვენ შეგიძლიათ გაასაჩივროთ **ჩვენ** მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილება, წინამდებარე პირობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.13. დამოუკიდებელი ექსპერტიზა

3.13.1. ჩვენ და **თქვენ** შეგვიძლია მოვითხოვოთ დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარება დაზღვეული ქონების დაზიანების, განადგურების და წარმოქმნილი ზარალის გამომწვევი მიზეზების უფრო დეტალურად დასადგენად. დამოუკიდებელი ექსპერტიზა ხორციელდება ექსპერტის ან საექსპერტო კომისიის მიერ, რომელიც ინიშნება **ჩვენსა და თქვენ** შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

3.13.2. დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარების ხარჯები გადაიხდება:

ა) იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზა ჩატარდება **ჩვენი** სურვილითა და ინიციატივით, მასზე გასაწევ ხარჯებს ვფარავთ **ჩვენ**;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზა ჩატარდება **თქვენი** სურვილითა და ინიციატივით, მასზე გასაწევ ხარჯებს ფარავთ **თქვენ**.

3.14. დავების განხილვა

3.14.1. ამ პირობების საფუძველზე განხორციელებულ დაზღვევასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავები გადაწყდება მოლაპარაკებების გზით, ხოლო თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში – სასამართლო წესით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.14.2. ამ პირობების საფუძველზე განხორციელებული დაზღვევიდან გამომდინარე დავის/უთანხმოების არსებობის შემთხვევაში **მხარეები** უფლებამოსილნი ვართ, მორიგების მიზნით მიმართონ ა(ა)იპ "სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის" (ს/კ 204878481) "დაზღვევის მედიაციას" სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: (+995 32) 2555155, ელექტრონული ფოსტის მისამართზე mediacia@insurance.org.ge. "დაზღვევის მედიაციის" მეშვეობით მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში **მხარეები** მივმართავთ სასამართლოს 13.14.1. პუნქტის შესაბამისად.

3.15. კონფიდენციალურობა

3.15.1. ჩვენსა და თქვენ მიერ ერთმანეთისათვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია (მიუხედავად მისი ზეპირი, თუ წერილობითი ფორმისა), რომლებიც წარმოადგენს კომერციულ ან სხვა სახის ფასეულობას, ითვლება კონფიდენციალურად და წინასწარი შეთანხმების გარეშე არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს, თუ ეს დაკავშირებული არ არის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებასთან ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. მიუხედავად ზემოხსენებულისა, შესაბამისი სადაზღვევო პოლისის ხელმოწერით თქვენგან გვენიჭება უპირობო უფლება თქვენ შესახებ ჩვენს ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია თქვენთან ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე გადავცეთ სს "კრედიტინფო საქართველოს" (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეესტრის #06/5-51, საიდენტ. #204470740), რაც იწვევს თქვენს აღრიცხვას "კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში.

3.15.2.

3.15.3. **ჩვენ** ვალდებული ვართ სათანადოდ დავიცვათ თქვენი პერსონალური ინფორმაცია, რომელიც ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა **თქვენი** თანხმობით, სადაზღვევო მომსახურების გაწევის მიზნებისათვის; ამასთან, **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ დავამუშაოთ **თქვენი** პერსონალური ინფორმაცია სადაზღვევო მომსახურების შეთავაზებისათვის და **თქვენ** მიერ დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისას, მესამე პირთათვის გადაცემის გზით, **ჩვენი** ინტერესების დაცვისათვის და დავამუშაოთ **თქვენი** პერსონალური მონაცემები კანონით დადგენილი წესით უფლებამოსლი პირის მეშვეობით.

3.16. ინფორმაციის მიწოდება

დაზღვევის ხელშეკრულების აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინება მხარეებს მიეწოდება წერილობითი ფორმით, ან ეგზავნება ფაქსით ან ფოსტით მხარეთა ადგილსამყოფელის/რეკვიზიტების მიხედვით. მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია დამზღვევს შეტყობინება გაეგზავნოს მოკლე ტექსტური ან ელექტრონული შეტყობინების სახითაც. დამზღვევის შემთხვევაში მისი რეკვიზიტების მითითება ხდება დაზღვევის განაცხადში ან პოლისში. მისამართის/ადგილსამყოფელისა თუ სხვა რეკვიზიტების ცვლილების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის დაუყოვნებლივ მზღვეველისთვის მიუწოდებლობის შემთხვევაში მზღვეველის მიერ გამგზავნილი ნებისმიერი კორესპოდენცია/შეტყობინება ჩაითვლება დამზღვევის მიერ მიღებულად.